

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
N 41 1995 წლის 29 მარტი ქ.თბილისი

აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების,
ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა მშობლიურ
ადგილებში დაბრუნების, მათი ცხოვრების პირობების
გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამის შესახებ

აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უკანასკნელი წლები ყველაზე უფრო მძიმე და ტრაგიკულია. სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა მიერ ინსპირირებული საომარი მოქმედების შედეგად აფხაზეთი დროებით იქნა მოწყვეტილი სამშობლოსაგან.

ოკუპირებულ მიწაზე დამყარებულმა რეჟიმმა რეგიონი განუკითხაობასა და ქაოსის მდგომარეობაში ჩააგდო. აფხაზეთიდან განდევნილ იქნა მისი მრავალეროვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მოეწყო და კვლავაც გრძელდება ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა-გენოციდი.

ქვეყნისათვის უმძიმეს პირობებში მოხერხდა დევნილი მოსახლეობის ევაკუაცია, სხვადასხვა რეგიონში განსახლება და მათთვის ელემენტარული საარსებო პირობების შექმნა.

ფაქტობრივად არ შეუწყვეტიათ მუშაობა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებას. ახლახან დაიწყო ფუნქციონირება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სოციალური ინფლასტრუქტურის, განათლების, კულტურის სხვადასხვა დარგში დასაქმებულია ათასობით სპეციალისტი. ადამიანები ვერ გატეხა ტრაგედიამ, სულიერმა ტკივილებმა, სიდუხჭირემ. ეს მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ახლა, როდესაც კონფლიქტის მოგვარების რეალური გზები ისახება.

აფხაზეთის პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების, ლტოლვილთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების, მათთვის პირობების შექმნისა და საქმეებში საქართველოს ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი, კერძო სტრუქტურების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და სხვა უწყებების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამა /თან ერთვის/.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო სტუქტურებმა, სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენლებმა მხარეებში, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა განახორციელონ პრაქტიკული საქმიანობა პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების ხარისხიანად და თავისდროულად შესრულებისათვის; დააწესონ პერსონალური პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის და მკაცრი კონტროლი მისი შესრულებისადმი.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მაქსიმალურად გამოიყენონ საქველმოქმედო, ჰუმანიტარული საქმიანობის შესაძლებლობები, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო სტუქტურების, ფირმების ინიციატივას, რომლებიც დევნილთა დასახმარებლად იქნება მიმართული; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოებას გააცნონ ყველა საინტერესო ინიციატივა.

4. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის აპარატებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს.

5. განკარგულება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს ტელევიზიითა და რადიოთი.

ე. შევარდნაძე